შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ქართული ენის ჯგუფი

როგორ მოვემზადოთ
მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის
დამადასტურებელი ტესტირებისათვის

ქართული, როგორც მეორე ენა

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე, იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 3

საგამოცდო პროგრამა 4

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება 8

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები 9

რეკომენდაციები 10

ა) მოსმენა 10

ბ) კითხვა 10

გ) წერა 10

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები 11

დ) პროფესიული ცოდნა 15

ე) ლაპარაკი 15

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის 16

ლაპარაკის ნაწილის ნიმუში 17

პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის ინსტრუქცია 18

საგამოცდო ტესტის ნიმუში 21

ტესტის ნიმუშის შეფასების სქემა 30

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება! 38

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე კრებულის დანიშნულებაა დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის, პედაგოგებს გააცნოს საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა ნიმუშები და რეკომენდაციები.

საგამოცდო დავალებათა სირთულის დონე და მოთხოვნები შეესაბამება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს.

საგამოცდო ტესტის დავალებათა ტიპები გამოიცადა საქართველოს რამდენიმე რეგიონში. აპრობაციების შედეგების ანალიზისა და საგნობრივ ექსპერტებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად შემუშავდა წარმოდგენილი საგამოცდო ტესტის ფორმატი.

ვფიქრობთ, კრებულში გამოქვეყნებული მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს ქართულის, როგორც მეორე ენის, პედაგოგებს საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირებისათვის მომზადებაში.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების არაქართულენოვანი სკოლების ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა საგნის გამოცდისა და კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირება

პ რ ო გ რ ა მ ა

საგამოცდო პროგრამა განკუთვნილია ქართულის, როგორც მეორე ენის, იმ მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მსურველთათვის, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ 2021 წელს მონაწილეობა მიიღონ ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა საგნის გამოცდასა და კომპეტენციის დამადასტურებელ ტესტირებაში.

გამოცდაზე შემოწმდება მასწავლებლის:

1. ენობრივი კომპეტენცია (მოსმენის, კითხვის, წერის, ლაპარაკის უნარები);
2. პროფესიული ცოდნა (ფონეტიკის, გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და ლექსიკის ცოდნა და მათი გამოყენების უნარი).

ენობრივი კომპეტენცია

მიმართულება მოსმენა

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული ზეპირი ტექსტების გაგება და გაანალიზება შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს მოსმენილ ტექსტში წამოჭრილი პრობლემების გაგება-გააზრება, მთავარი და მეორეხარისხოვანი საკითხების, არგუმენტების, ვარაუდებისა და ფაქტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ტექსტის ნაწილებს შორის არსებული ლოგიკური კავშირების დადგენა, ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის გაგება *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ა) ა.ა.};* სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების, ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების ამოცნობა *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ა) ა.ბ.}.*

მიმართულება კითხვა

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა ჟანრის, სტილისა და სტრუქტურის მქონე არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გაგება-გაანალიზება შინაარსისა და სტრუქტურულ-ენობრივი მახასიათებლების მიხედვით.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს:

- ტექსტში ასახული თემის, ძირითადი იდეის, პრობლემატიკის, პრობლემის გამომწვევი მიზეზების, მთხრობლის, ავტორის, პერსონაჟის ხედვისა და ქცევის მოტივის განსაზღვრა, ტექსტში გადმოცემული თუ ნაგულისხმევი თვალსაზრისების, შეხედულებების გამოკვეთა *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ბ) ბ.ა.};*
- ტექსტის ფუნქციური ტიპის, სტრუქტურული ერთეულებისა და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციების განსაზღვრა, პერსონაჟთა დახასიათების ხერხების ამოცნობა *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ბ) ბ.ბ.};*
- ტექსტის გაანალიზება სოციალურ-კულტურული და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ბ) ბ.გ.}.*

<u>მიმართულება წერა</u>

პედაგოგს მოეთხოვება სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების შედგენა.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს სხვადასხვა ტიპის წერილობითი ტექსტების (ესე, გამოხმაურება, მიმოხილვა...) შექმნა; პრობლემური საკითხების შესახებ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება; აზრის თანამიმდევრულად განვითარება, არგუმენტების მოყვანა; სათანადო ლოგიკური დასკვნების გამოტანა; ტექსტის ორგანიზება; ენობრივი ნორმებისა და პუნქტუაციის წესების დაცვა *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, გ) გ.ა}.*

<u>მიმართულება ლაპარაკი</u>

პედაგოგს მოეთხოვება ზეპირი მეტყველებისას საკუთარი აზრის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება, გამართულად მეტყველება.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს სათანადო არგუმენტებისა და კონკრეტული მაგალითების მოხმობა საკუთარი მოსაზრების/პოზიციის გადმოსაცემად, დასკვნის გაკეთება *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, დ) დ.ა.}.*

<u>სასწავლო მასალის გაანალიზება</u>

პედაგოგს მოეთხოვება სასწავლო მასალის გაანალიზება.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შეუძლია პედაგოგს მიზნის შესაბამისად სხვადასხვა სასწავლო მასალას შორის არჩევანის გაკეთება, საკუთარი არჩევანის დასაბუთება მასალის მეთოდური და შინაარსობრივი თვალსაზრისით გაანალიზების საფუძველზე *{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 290, ე) ე.ა.}.*

<u>პროფესიული ცოდნა</u>

პედაგოგს მოეთხოვება შემდეგი საკითხების ცოდნა:

ქართული ენა

ა) ქართული ანბანი და მისი ზოგადი დახასიათება: ქართული ენის ბგერითი შედგენილობა; ბგერა და ასო; ქართული დამწერლობის განვითარების ეტაპები.

ბ) ფონეტიკა: ბგერათა დახასიათება; სპეციფიკური ბგერები; ძირითადი ფონეტიკური პროცესები: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის დაკარგვა და სხვ. ინტონაცია და მისი ძირითადი ელემენტები: ლოგიკური მახვილი, მეტყველების ტემპი, ხმის ტემბრი; პაუზა და მისი აზრობრივი დატვირთვა; ორთოეპიის საკითხები.

გ) მორფოლოგია:

1. არსებითი სახელი; ჯგუფები, ბრუნება, ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
2. ზედსართავი სახელი; ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად;
3. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
4. რიცხვითი სახელი; ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად;
5. ნაცვალსახელი; ჯგუფები, ბრუნება ცალკე და არსებით სახელთან ერთად; ბრუნებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;
6. სახელთა წარმოება და მათი ფუნქციები;
7. ზმნა; პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები, პირთა რაოდენობა ზმნის ერთ ფორმაში, ზმნისწინთა აგებულება და მათი ფუნქციები, დრო, კილო, ასპექტი,

ქცევა და მისი გამოხატვის საშუალებები, კონტაქტი, მისი წარმოება და ფუნქცია, გარდამავლობა, გვარი, საწყისი და მიმღეობა, მათი წარმოება და ფუნქციები;
8. ზმნიზედა; ჯგუფები ფუნქციისა და ფორმის მიხედვით, ზმნიზედის მართლწერა;
9. თანდებული; ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები, თანდებულთა განაწილება ბრუნვების მიხედვით და მათი ფუნქციები;
10. კავშირი; კავშირის სახეები, მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები;
11. შორისდებული;
12. ნაწილაკი.

დ) სინტაქსი:
1. წინადადება შინაარსის (მოდალობის) მიხედვით;
2. წინადადება აგებულების მიხედვით - მარტივი, შერწყმული და რთული;
3. წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები;
4. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
5. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

ე) ორთოგრაფია:
1. რაოდენობით და რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერა;
2. კომპოზიტების მართლწერა;
3. უცხოური სიტყვების მართლწერა.

ვ) პუნქტუაცია: პუნქტუაციის წესები; პუნქტუაცია და ინტონაცია.

ზ) ლექსიკოლოგია: სიტყვაწარმოების თავისებურებები; სინონიმი; ანტონიმი; დიალექტიზმი; ჟარგონი; ბარბარიზმი; არქაიზმი; ნეოლოგიზმი; სიტყვათა სესხება; პროფესიული ლექსიკა; სიტყვათა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; ფრაზეოლოგიზმები და მყარი შესიტყვებები.

{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 291}.

ტესტში შესული დავალებები შეამოწმებს, თუ რამდენად შუძლია მასწავლებელს გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, ლექსიკური შეცდომებისა და სხვადასხვა ენობრივი საკითხის ანალიზი და შესაბამისი განმარტებების ჩამოყალიბება.

სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.
2. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.
3. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1989.
4. ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977.
5. სახელმწიფო ენის დეპარტამეტის ბიულეტენი II, 24 აგვისტო, 2020.
6. ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლის ბიბლიოთეკა), შედგენილი გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ, ქართული ენა, I – II, თბ., 2009.
7. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1976.

ლექსიკონები:

1. ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998;
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
4. ქართული ლექსიკონი, თბ., 2014; ვებგვერდის მისამართი: www.Ganmarteba.ge.
5. ლექსიკონების ელექტრონული ვერსიები; ვებგვერდის მისამართი: www.ice.ge.

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკა

პედაგოგს მოეთხოვება:

1. მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

- მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის უნარ-ჩვევების გასავითარებლად გაკვეთილის მიზნის განსაზღვრა, დავალებების შერჩევა გაკვეთილის თითოეული ფაზისათვის მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესებისა და მათი ენობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
- ენის სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად სწავლების სათანადო სტრატეგიების (დისკუსიის, ენობრივი შეცდომების ანალიზისა და სხვ.) შერჩევა.

2. მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა.

- ისეთი ხერხების შერჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივირებას მოსმენის, კითხვის, ზეპირ თუ წერით აქტივობებში ჩასართავად.
- ისეთი ხერხების შერჩევა, რომლებიც მოსწავლეს გამოუმუშავებს ზეპირი და წერითი დავალებების დამოუკიდებლად შესრულების ჩვევებს; კითხვის, მოსმენის, ლაპარაკის, წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევის უნარს.
- დიფერენცირებული მიდგომის ხერხების გამოყენება მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით.

3. მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით.

4. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების სპეციფიკის ცოდნა.

- დაწყებით, საშუალო და საბაზო საფეხურებზე კითხვისა და წერის უნარების განმავითარებელი აქტივობების შერჩევა.
- მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განსავითარებლად სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

{მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მუხლი 292}.

სარეკომენდაციო ლიტერატურის სია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018-2024;
2. ქართულის, როგორც მეორე ენის, სტანდარტი, 2018-2024;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2010;
4. ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკა, თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, ვებგვერდი: http://geofl.ge/#!/page_metodic;
5. როგორ ვასწავლოთ კითხვა, დაწყებითი კლასის პედაგოგებისათვის, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010;
6. კითხვის ეფექტური მეთოდები, სასწავლო მეთოდური ფილმი და გზამკვლევი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011;
7. ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, 2011;
8. კითხვის ეფექტური მეთოდები (1, 2), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. 2011, ვებგვერდი: www.tpdc.ge;
9. სწავლება და შეფასება, დამხმარე სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008;
10. ქართული ენის ფლობის დონეები, ზოგადი აღწერილობა, მარიკა ოძელი და სხვ., სახელმწიფო ენის დეპარტამეტის ბიულეტენი II, 24 აგვისტო, 2020.

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი 85-ქულიანია და შედგება ხუთი ნაწილისაგან:

ენობრივი ნაწილი ამოწმებს მოსმენის, ლაპარაკის, კითხვისა და წერის ენობრივ კომპეტენციებს.

პროფესიული ცოდნის ნაწილი ამოწმებს, თუ როგორ შეუძლია მასწავლებელს ლექსიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, გრამატიკის თეორიული ცოდნის გამოყენება.

ქვემოთ მოცემულია ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

მოწმდება	**დავალებათა ტიპები**	**მაქსიმალური ქულები**
ა) მოსმენა	დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხების შერჩევა მოსმენილი ტექსტის მიხედვით.	9
ბ) კითხვა	1. დასმულ შეკითხვებზე სწორი პასუხების შერჩევა მხატვრული ტექსტის მიხედვით.	9
	2. ინფორმაციულ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების აღდგენა შემოთავაზებული ვარიანტებიდან.	7
	3. იმ წინადადებების მონიშვნა, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება ინფორმაციული ტექსტის შინაარსს.	9
გ) წერა	არგუმენტირებული ესე.	20
დ) პროფესიული ცოდნა	1. ტექსტში დაშვებული შეცდომების გასწორება.	8
	2. გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, ლექსიკური შეცდომებისა და სხვადასხვა ენობრივი საკითხის ანალიზი და შესაბამისი განმარტებების ჩამოყალიბება.	12
ე) ლაპარაკი	მოკლედ საუბარი შემოთავაზებულ თემებზე.	11
ტესტის მაქსიმალური ქულა		***85***

ტესტირებაში მონაწილემ პასუხები უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე.

<u>სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!</u>

ტესტირების ხანგრძლივობა (ლაპარაკის ნაწილის გარეშე) შეადგენს **4 საათსა და 30 წუთს.**

ტესტირება ლაპარაკის ნაწილში ჩატარდება ცალკე (დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებულ დროს) და დაეთმობა დაახლოებით **15 წუთი.**

მინიმალური ზღვრები და გამსვლელი ქულები

ტესტის მაქსიმალური ქულაა 85. გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია მონაწილემ დააგროვოს მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი (ე. ი. 52 ქულა და მეტი).

გარდა ამისა, კანდიდატმა უნდა გადალახოს თითოეული ნაწილისათვის (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, მეთოდიკა) დადგენილი ზღვრები.

იხ. სქემა, რომელშიც ასახულია გამსვლელი ქულები მთელი ტესტისა და მისი თითოეული ნაწილისათვის.

N	ტესტი და მისი ნაწილები	მაქსიმალური ქულები	გამსვლელი ქულები
1	მთელი ტესტი	85	52 ან მეტი
2	მოსმენა	9	4 ან მეტი
3	კითხვა	25	11 ან მეტი
4	წერა	20	9 ან მეტი
5	პროფესიული ცოდნა	20	9 ან მეტი
6	ლაპარაკი	11	5 ან მეტი

გაითვალისწინეთ, მონაწილეს გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაეთვლება, თუ ვერ გადალახავს ტესტის რომელიმე ნაწილის მინიმალურ ზღვარს (თითოეულისათვის 40%-ზე მეტს), მიუხედავად იმისა, დააგროვა თუ არა მთლიან ტესტში 52 ან მეტი ქულა.

ამრიგად, ტესტირების მონაწილემ ***ექვსი*** მინიმალური ზღვარი უნდა გადალახოს: მთლიანი ტესტისა და მოსმენის, კითხვის, წერის, პროფესიული ცოდნისა და ლაპარაკის ნაწილებში.

რეკომენდაციები

ა) მოსმენა

- ტესტში არის მოსმენის ერთი დავალება.
- დავალება დახურული ტიპისაა. ტექსტის შინაარსის მიხედვით დასმულია 9 კითხვა. თითოეულს ახლავს ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხი. თქვენ მოგეთხოვებათ შეარჩიოთ სწორი პასუხი და გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე. ამისათვის შესატყვის უჯრედში უნდა დასვათ X ნიშანი. (იხ. ნიმუში, გვ. 18).
- წინასწარ გაეცანით დავალების პირობას, რისთვისაც გეძლევათ 45 წამი.
- გაითვალისწინეთ, დავალების ტექსტს მოისმენთ ორჯერ, რაც თქვენი პასუხების გადამოწმების საშუალებას მოგცემთ.
- უმჯობესია დავალება შეასრულოთ მოსმენის დროს. პირველ და მეორე მოსმენას შორის არის მცირე პაუზა. ტექსტის მეორე მოსმენისას გადაამოწმეთ თქვენი პასუხები და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწორეთ ისინი.
- ტექსტის მოსმენის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 9, გამსვლელი ქულა – 4 ან მეტი.

ბ) კითხვა

- წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის შესამოწმებლად ტესტში შეტანილია სამი ტექსტი – ერთი მხატვრული და ორი ინფორმაციული:
  1. მხატვრულ ტექსტს ახლავს 9 შეკითხვა ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან უნდა შეარჩიოთ სწორი.
  2. პირველ ინფორმაციულ ტექსტში გამოტოვებულია 7 წინადადება. ჩამოთვლილი 12 წინადადებიდან (ხუთი წინადადება ზედმეტია) უნდა შეარჩიოთ მხოლოდ შვიდი და მიუთითოთ, რომელ ადგილას აღადგენთ მათ ტექსტში.
  3. მეორე ინფორმაციულ ტექსტს ახლავს 9 წინადადება. თქვენ უნდა აღნიშნოთ, რომელი მათგანი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, იქვე, წინადადების გასწვრივ, უნდა მიუთითოთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს. უნდა გაითვალისწინოთ, თუ შესაბამისი აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, პასუხი არ ჩაითვლება.
- პასუხების ფურცელზე თქვენი პასუხები უნდა გადაიტანოთ მხოლოდ შესაბამის უჯრედებში.
- ტექსტის კითხვის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 25, გამსვლელი ქულა – 11 ან მეტი.

გ) წერა

- ტესტში არის ერთი წერითი დავალება.
- ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. გაიაზრეთ შემოთავაზებული პრობლემა. ჩამოწერეთ თემასთან დაკავშირებული ფაქტები, არგუმენტები და ა. შ.
- წერეთ არგუმენტირებულად, მოიყვანეთ მაგალითები და ფაქტები.
- შეასრულეთ დავალება ჯერ შავი სამუშაოსათვის გამოყოფილ ფურცლებზე, გადახედეთ ნაშრომს, შეიტანეთ ცვლილებები და ამის შემდეგ რედაქტირებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.
- სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.
- გაითვალისწინეთ, <u>100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის</u> ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.
- ნურსად მიუთითებთ თქვენს სახელსა და გვარს. ამგვარი ნაშრომი არ გასწორდება.
- ტესტის წერის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20, გამსვლელი ქულა – 9 ან მეტი.

იხ. წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები, გვ. 11-14.

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **20.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ კანდიდატის ნაშრომი არ უპასუხებს დავალების პირობას ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

გაითვალისწინეთ, 100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის ნაშრომი VI და VII კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

კრიტერიუმების ჩამონათვალი და განმარტებები

N	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტებები*	*მაქსიმალური ქულები*
I	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	მონაწილეს მოეთხოვება დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	**2**
II	ნაშრომის აგება	მონაწილეს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**2**
III	მსჯელობის დასაბუთება	მონაწილეს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	**4**
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება, ფართო ერუდიცია.	**3**
V	ლექსიკა და სტილი	მონაწილეს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	**3**
VI	სინტაქსი	მონაწილეს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**3**
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	მონაწილეს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**3**

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 - ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

N	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

N	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

N	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

N	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

N	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***სამი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***სამზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

N	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

დ) პროფესიული ცოდნა

- პროფესიული ცოდნის შესამოწმებლად ტესტში შეტანილია ორი სახის ღია დავალებები:
  1. ტექსტში დაშვებული შეცდომების აღმოჩენა და გასწორება.
  2. მოსწავლის მიერ დაშვებული გრამატიკული, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური თუ ლექსიკური შეცდომების აღმოჩენა, მათი კვალიფიკაცია, ანალიზი და შესაბამისი განმარტებების ჩამოყალიბება.
- თქვენი პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ გამოყოფილ ადგილას.
- ტექსტის პროფესიული ნაწილის მაქსიმალური ქულაა 20, გამსვლელი ქულა – 9 ან მეტი.

ე) ლაპარაკი

ტექნიკური მხარე:

- ტესტირება ლაპარაკის ნაწილში ტარდება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. მონაწილეები მუშაობენ ინდივიდუალურად, პერსონალურ კომპიუტერებთან. ისინი ყურსასმენებით ისმენენ დავალებების პირობებს და ასრულებენ შესაბამის მოთხოვნებს (მაგ.: უპასუხებენ შეკითხვებს, აღწერენ სიტუაციას და ა. შ.).
- დავალებების ინსტრუქციები გამოტანილია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარად, მონაწილეს ეძლევა საშუალება, რომ ერთდროულად მოისმინოს და წაიკითხოს კიდეც ისინი.
- ყოველი დავალების შესასრულებლად გამოყოფილია გარკვეული დრო, რომლის გაკონტროლება მონაწილეს შეუძლია კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი წამმზომის მეშვეობით. სალაპარაკო დროის გაკონტროლების საშუალებას იძლევა ასევე სპეციალური ხმოვანი სიგნალი, რომელიც მონაწილეს მიანიშნებს, თუ როდის უნდა დაიწყოს და დაასრულოს მოცემული საკითხის შესახებ ლაპარაკი.
- მონაწილემ აუცილებელად ხმამაღლა და გარკვევით უნდა ილაპარაკოს, რომ ჩანაწერის ცუდმა ხარისხმა არ იმოქმედოს შეფასებაზე.
- მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ლაპარაკისათვის განკუთვნილი დრო. დაიწყოს ლაპარაკი შესაბამისი ხმოვანი სიგნალის შემდეგ. კონკრეტული დავალებისათვის გამოყოფილი დროის არასრული გამოყენება ან დიდი პაუზებით საუბარი გამსწორებელს ვერ მისცემს მონაწილის ლაპარაკის უნარის სათანადოდ შეფასების საშუალებას.
- ტესტის ლაპარაკის ნაწილის მაქსიმალური ქულაა 11, გამსვლელი ქულა – 5 ან მეტი.
- ტესტის ლაპარაკის ნაწილისათვის გამოყოფილია 13-15 წუთი.
- გაითვალისწინეთ, ტესტირების ლაპარაკის ნაწილი არ ჩატარდება პირველ ოთხ ნაწილთან ერთად. იგი სხვა დროს გაიმართება.

შინაარსობრივი მხარე:

ტესტის ლაპარაკის ნაწილი შედგება 3 დავალებისაგან.

I დავალება – კითხვებზე პასუხები:

მონაწილე ისმენს ორ შეკითხვას და თანამიმდევრობით უპასუხებს ჯერ ერთს, შემდეგ – მეორეს. თითოეული კითხვის საპასუხოდ გამოყოფილია 30 წამი.

II დავალება – თემაზე საუბარი:

მონაწილე ისმენს სასაუბრო თემას, პირადი გამოცდილებიდან იხსენებს შესაბამის სიტუაციას და 2-3 შეკითხვის დახმარებით განავრცობს პასუხს. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 1 წუთი, პასუხისათვის – 2 წუთი.

III დავალება – არგუმენტირებული მსჯელობა:

მონაწილე ეცნობა სიტუაციასა და მასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. იგი გადმოსცემს საკუთარ შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით და ამყარებს მაგალითებითა და არგუმენტებით. პასუხის მოსაფიქრებლად გამოყოფილია 30 წამი, პასუხისათვის – 1 წუთი.

იხ. ტესტის ლაპარაკის ნაწილის შეფასების კრიტერიუმები, გვ. 16-17.

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის

I კრიტერიუმი

N	*დავალებასთან შესაბამისობა*	*ქულები*
1.	ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი არგუმენტირებულია; დროს სრულად იყენებს.	**3**
2.	ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; არგუმენტები ზოგჯერ არ არის მყარი; დროს სრულად არ იყენებს.	**2**
3.	ლაპარაკობს დაზეპირებული ან გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით; პასუხი არ არის არგუმენტირებული; დროს სრულად არ იყენებს.	**1**
4.	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე, ანდა დუმს.	**0 (არ სწორდება)**

II კრიტერიუმი

N	*ლექსიკური მარაგი*	*ქულები*
1.	აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი.	**3**
2.	აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი, თუმცა 1 ან 2 შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერჩეული.	**2**
3.	აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ხშირად ლექსიკური ერთეულები არაადეკვატურად არის გამოყენებული.	**1**
4.	აზრის გაგება ჭირს, რადგან ლექსიკა არაადეკვატურია.	**0**

III კრიტერიუმი

N	*გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე*	*ქულები*
1.	იყენებს მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდომებს.	**3**
2.	იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს, თუმცა უშვებს 1 ან 2 გრამატიკულ შეცდომას.	**2**
3.	იყენებს მარტივ, ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ზოგჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას.	**1**
4.	მეტყველება გრამატიკულად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.	**0**

IV კრიტერიუმი

N	*წარმოთქმა*	*ქულები*
1.	ბგერებს სწორად წარმოთქვამს, წარმოთქმის ხარვეზები უმნიშვნელოა.	**2**
2.	ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	**1**
3.	ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამი ხშირად გაუგებარია.	**0**

ლაპარაკის ნაწილის ნიმუში

I დავალება:

მოისმინეთ ორი შეკითხვა და უპასუხეთ მათ. თითოეულ კითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად თქვენ გაქვთ ***10 წამი***, პასუხისათვის – ***30 წამი***.

შეკითხვა 1.

ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი და რატომ?

თქვენ გაქვთ ***10 წამი*** მოსაფიქრებლად.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.

შეკითხვა 2.

რომელი საგანი გიყვარდათ ყველაზე მეტად სკოლაში და რატომ?

თქვენ გაქვთ ***10 წამი*** მოსაფიქრებლად.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.

II დავალება:

გაიხსენეთ თქვენ მიერ ჩატარებული პირველი გაკვეთილი.

- გვიამბეთ, როგორ ემზადებოდით ამ გაკვეთილის ჩასატარებლად.
- აღწერეთ თქვენი მაშინდელი განცდები და შთაბეჭდილებები.

თქვენ გაქვთ ***1 წუთი*** მოსაფიქრებლად და ***2 წუთი*** პასუხის გასაცემად.
შეგიძლიათ ფურცელზე ჩაინიშნოთ პასუხისათვის საჭირო დეტალები.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.

III დავალება:

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.
თქვენ გაქვთ ***30 წამი*** მოსაფიქრებლად, პასუხისათვის – ***1 წუთი***.
საუბარი დაიწყეთ ხმოვანი სიგნალის შემდეგ.

სიტუაცია:

თქვენი მეგობარი სკოლაში იწყებს მუშაობას და სურს, დირექტორს სთხოვოს, რომ თავდაპირველად უმცროსკლასელებთან შეუშვას, ზოგი კოლეგა კი ურჩევს, რომ სჯობს უფროსკლასელებთან ჩაატაროს გაკვეთილები, რადგან პატარებთან მუშაობა უფრო რთულია.

თქვენ რას ურჩევდით მეგობარს?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!

პასუხების ფურცელზე პასუხების გადატანის ინსტრუქცია

პასუხების მონიშვნისას:

- პასუხების ფურცელზე მოძებნეთ კონკრეტული დავალების შესაბამისი ნომერი და ყოველი პასუხი გადაიტანეთ (მონიშნეთ) საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ უჯრედში.
- ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის (იხ. გვ. 21-24) შემთხვევაში ზემოთქმული ეხება 1-18 დავალებებს. შესაძლოა, საგამოცდო ტესტში ამ ტიპის დავალებები განსხვავებულად იყოს დანომრილი.
- თქვენ მიერ არჩეული პასუხები შესაბამის უჯრედებში აღნიშნეთ X ნიშნით.
- პასუხები თავდაპირველად შეგიძლიათ ჩაინიშნოთ შავი სამუშაოსათვის დარიგებულ ცარიელ ფურცლებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცელზე.
- თქვენი პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: ყოველი დავალების ნომრის ქვეშ განთავსებულ უჯრედებში X ნიშანი ჩასვით იმ უჯრედში, რომელიც, თქვენი აზრით, სწორ პასუხს შეესაბამება.
- მაგალითად, თუკი მე-3 დავალების პასუხად აირჩიეთ **ბ)** ვარიანტი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-3 დავალების შესაბამისი სვეტი და ამ სვეტში პასუხების **(ბ)** რიგის შესატყვის უჯრედში ჩასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

პასუხების მონიშვნის ნიმუში:

	1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.
ა)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☒	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

გაითვალისწინეთ:

- თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა სათანადო უჯრედში X ნიშნის ჩასმაა.
- დასაშვებია, რომ X ნიშანი ცოტათი გასცდეს თეთრი უჯრედის ფარგლებს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს უჯრედზე მოკლე.
- თითოეული დავალების შესაბამის სვეტში უნდა მონიშნოთ მხოლოდ ერთი პასუხი, ანუ მხოლოდ ერთ უჯრედში დასვით X ნიშანი.
- თუ რომელიმე სვეტში ერთზე მეტ X ნიშანს დასვამთ, ამ კონკრეტული დავალების არცერთი პასუხი არ ჩაითვლება სწორად.
- თუ გსურთ პასუხების ფურცელზე უკვე მონიშნული პასუხის გადასწორება, მაშინ მთლიანად გააფერადეთ (გააშავეთ) ის უჯრედი, რომელშიც X ნიშანი ჩასვით და ამის შემდეგ იმავე სვეტში მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრედში). კომპიუტერული პროგრამა არჩეულ პასუხად მხოლოდ X-ნიშნიან უჯრედს აღიქვამს.
- შეუძლებელია ხელმეორედ იმავე პასუხის არჩევა, რომელიც გადაასწორეთ (ანუ იმ პასუხისა, რომლის შესაბამისი უჯრედი უკვე მთლიანად გააფერადეთ).

პასუხის ჩაწერისას:

- დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ საგანგებოდ ამისათვის გამოყოფილ ადგილას ჩაწერეთ თქვენი პასუხი.
- დასაშვებია პასუხების გადასწორება (არასწორი პასუხის გადახაზვა და გვერდით ან ზემოთ სწორი პასუხის დაწერა).
- თქვენი პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ ადგილს.

- ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის მე-19 დავალების (იხ. გვ. 25) პასუხები შემდეგნაირად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე: მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და გადამკვეთ უჯრედში ჩასვით X ნიშანი.
- მაგალითად, თუკი ჩათვალეთ, რომ ტექსტში მე-7 ნომრის ადგილას გამოტოვებულია წინადადება, რომელიც აღნიშნულია „ბ“ ასოთი, მაშინ პასუხების ფურცელზე უნდა მოძებნოთ მე-7 წინადადების შესაბამისი სვეტი და ამ სვეტში პასუხების **(ბ)** რიგის შესატყვის უჯრედში ჩასვათ X ნიშანი (იხ. ნიმუში).

მე-19 დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

19.	**1.**	**2.**	**3.**	**4.**	**5.**	**6.**	**7.**
ა)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☒
გ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
დ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ვ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ზ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
თ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ი)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
კ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ლ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
მ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

მე-20 დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის მე-20 დავალების (იხ. გვ. 26-27) პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: მე-20 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში გააკეთეთ აღნიშვნები **(X)**.

თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცების ნომრები, რომლებიც, თქვენი აზრით, შეიცავს თქვენი პასუხების დამადასტურებელ ინფორმაციას *(გაითვალისწინეთ, თუ რომელიმე აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ).*

იხ. ნიმუში.

მე-20 დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

20.

წინადადების №	**დიახ**	**არა**	**აბზაცის №**
1.	X		2
2.		X	
3.		X	
4.	X		4
5.		X	
6.		X	
7.	X		1
8.	X		2

21-ე დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 21-ე დავალება (იხ. გვ. 27) ესეს დაწერას მოითხოვს. თქვენ შეგიძლიათ დარიგებულ ცარიელ ფურცლებზე შავად შეასრულოთ ნაშრომი და შემდეგ გადაწეროთ პასუხების ფურცელზე.

22-ე დავალება

ამ კრებულში მოცემული საგამოცდო ტესტის ნიმუშის 22-ე დავალების (იხ. გვ. 28) პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად: 22-ე ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ჩაწერეთ თქვენ მიერ აღმოჩენილი შცდომების სწორი ვარიანტები. თუ რომელიმე სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ (იხ. ნიმუში).

22-ე დავალების პასუხების გადატანის ნიმუში:

22.	სწორი ვარიანტები
	1. --------- √ ---------
	2. -------- წინ --------
	3. ----- რომლის -----
	4. --------- √ ---------
	5. ------ ქვეყნის -----
	6. ----- შეცვალა -----

შეგახსენებთ, რომ დანარჩენი დავალებების პასუხების გადატანის წესი მოცემულია ზემოთ, იხ. გვ. 18.

საგამოცდო ტესტის ნიმუში

I. მოსმენა (9 ქულა)

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი. ტექსტს მოისმენთ ორჯერ.
ყოველი კითხვის ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი.
ტექსტის ჩანაწერის მოსმენამდე დავალების გასაცნობად გეძლევათ 45 წამი.
პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **1. თამაზ ვასაძის აზრით, რა არის ჩვენი განათლების სისტემის მთავარი ნაკლი?**
ა) მხოლოდ ქიმიას, ფიზიკასა და ანატომიას ასწავლიან საფუძვლიანად.
ბ) სასკოლო დისციპლინები მხოლოდ ფორმალურად ისწავლება.
გ) სულიერ ღირებულებებზე ყურადღება ნაკლებად მახვილდება.
დ) უცხოური ლიტერატურის შესწავლას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

(1) **2. რესპონდენტის აზრით, სკოლაში უნდა არსებობდეს საგანი, რომელიც მოსწავლეს:**
ა) ინტერნეტისა და სოციალური ქსელების გამოყენებისკენ უბიძგებს.
ბ) ლიტერატურის საშუალებით ადამიანის სულიერ ანატომიას შეასწავლის.
გ) რომელიმე ლიტერატურულ პერსონაჟთან გაიგივების სურვილს აღუძრავს.
დ) ქართული ლიტერატურის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დაანახვებს.

(1) **3. მხატვრული ლიტერატურის კითხვის პრაქტიკული მოტივი არის ის, რომ:**
ა) ადამიანი საზოგადოებრივ მორალსა და დაკანონებულ წესებს გაეცნოს.
ბ) ადამიანი უკეთესად გაერკვეს ცხოვრებაში და ნაკლებად მოტყუვდეს.
გ) ადამიანმა ვირტუალურ სამყაროსთან ურთიერთობა ისწავლოს.
დ) ადამიანმა მხოლოდ კონკრეტულ პერსონაჟზე დაკვირვება ისწავლოს.

(1) **4. რესპონდენტის აზრით, კითხვა ადამიანებს იმიტომ არ უყვართ, რომ:**
ა) ის მათს ცნობისწადილს საკმარისად არ აკმაყოფილებს.
ბ) საკუთარ თავთან მარტო დარჩენა არ სიამოვნებთ.
გ) ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეუძლიათ.
დ) ძვირფასი დროის ნაწილის დაკარგვაც კი არ უნდათ.

(1) **5. კითხვისაგან თავის არიდების მიზნით, ადამიანები:**
ა) არჩევენ ცხოვრებისეულ კითხვებს ჩაუღრმავდნენ და იფიქრონ.
ბ) სხვა ადამიანების ფსიქიკასა და ხასიათს აკვირდებიან.
გ) ცდილობენ გაერთონ და სერიოზული კითხვები თავიდან მოიშორონ.
დ) ცდილობენ სულიერ ღირებულებებში ინტერნეტის დახმარებით გაერკვნენ.

(1) **6. რატომ იჭერს წიგნი ახალგაზრდების ცხოვრებაში ნაკლებ ადგილს?**
ა) მათ არ აქვთ ემოციური ინტელექტის განვითარების უნარი.
ბ) მათ არ აქვთ რაღაც იდუმალის შეცნობის სურვილი.
გ) მათ არ მიაჩნიათ ლიტერატურა აზროვნების ჰუმანურ ფორმად.
დ) მათ დრო არ რჩებათ წიგნით სიამოვნების მისაღებად.

(1) **7. რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი პრიორიტეტი აღარ არის?**

ა) ასეთ დროს დაკანონებულ წესებს მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბ) ასეთ დროს საზოგადოებრივი მორალი მაღლდება.

გ) ასეთ დროს ყველაფერი აზრს კარგავს.

დ) ასეთ დროს ცხოვრების სწორი ხედვა ყალიბდება.

(1) **8. რატომ მიაჩნია რესპონდენტს, რომ ლიტერატურა „ადამიანის აზროვნების ფორმებს შორის ყველაზე ჰუმანურია“?**

ა) იგი ადამიანს შეახსენებს, რომ ინვესტიციები, ასფალტი, შადრევნები... პრიორიტეტულია.

ბ) იგი ადამიანს ცხოვრებისეული კითხვებისაგან თავის არიდებას ასწავლის.

გ) იგი ხელს უწყობს ადამიანს შეისწავლოს სხვადასხვა საგანი.

დ) იგი ხელს უწყობს მაღალი ზნეობის, კეთილსინდისიერი პიროვნების ჩამოყალიბებას.

(1) **9. რომელ წინადადებაშია გადმოცემული ინტერვიუს უმნიშვნელოვანესი სათქმელი?**

ა) „ადამიანს უნდა წარმართავდეს [...] სინდისი, [...] ამის ცოდნა იქნება ყველაზე დიდი რამ, რასაც შეიძლება ჩვენი განათლების სისტემამ მიაღწიოს“.

ბ) „ვინც კითხვა შეიყვარა, ვინც ამის გემო და ფასი იცის, ინტერნეტი მას კითხვას ვერ მოსწყვეტს“.

გ) „კითხვა არის მარტოობა, წიგნსა და საკუთარ თავთან დარჩენა. ოღონდ ეს სავსე მარტოობაა, რაღაცით დატვირთული, სერიოზული“.

დ) „ფიქრია საჭირო, კონკრეტულად რომელ ასაკში რა უნდა მიაწოდო ბავშვს, რომ საკუთარი თავი დაინახოს პერსონაჟში“.

II. კითხვა (25 ქულა)

(9) **ყურდღებით წაიკითხეთ გიორგი ლეონიძის მოთხრობა „ჩვენი ჭერამი“:**

იორზე, ვენახში, დიდი ჭერამი გვედგა – შებუთქვილი, დახუნძლული. თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო, მერე მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში, თან რაღაც ზიზღსაც კი. მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ, ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ, აღარც მისი ტოტი დამირხევია. თითქოს უმძრახად ვიყავ ამ ხესთან, გვერდით გავუვლიდი, ზედაც არ შევხედავდი. მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა, არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამიხარდა. გულში მფიფქავდა ერთი მოგონება, თორემ უმიზეზოდ რად შევიძულებდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს?

მაშინ კახეთის რკინიგზა გაჰყავდათ. გზა ჩვენს ივრის ვენახებზე გადიოდა. მალე დაიწყო ჯოჯოხეთური მუშაობა. მექანიზმები მაშინ არ ჰქონდათ და ხელით ებრძოდნენ სალიანდაგო სათხრელ მიწას. დიდძალი მუშა ტრიალებდა – ქართველები, სომხები, რუსობაც ბევრი იყო. ივრის მწვანე ჭაობნარი საწყალ მუშებს უხვად ასაჩუქრებდა ციებ-ცხელებით, სიცხე სუნთქვას აგუბებდა, სახეს სწვავდა თონის ალმურივით. მუშას სასმელი წყალიც კი არ ჰქონდა, მღვრიე ივრის გარდა. ავად ხდებოდნენ, იქვე მიწაზე ჭერეხებივით ეყარნენ. ზედამდეგები, შინამდეგები უყვიროდნენ, აგინებდნენ, ხოლო ქედწახრილი მუშები უსიტყვოდ ასრულებდნენ მათ ბრძანებას.

საღამოობით, სამუშაოს აშვებისას, ახალგაზრდა მუშები ცდილობდნენ ვითომცდა გამხიარულებას, მაგრამ წელმოწყვეტილი, დათუთქული ადამიანის ლხინი ვის გაუგონია? ერთხელ, ორჯერ მოსწევდნენ გარმონს, მაგრამ გულს ხალისი არა ჰქონდა, ხოლო მარჯვენას – ღონე და გარმონი იქვე მიყუჩდებოდა, თითქოს შორიდან ვიღაცამ დაიკვნესაო!

სიცხისაგან გათანგულ მუშებს საუბარიც კი ეზარებოდათ. მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო.

უთვალავი ხეხილი ზედ გზის პირას იდგა ლალ-ზურმუხტისფრად, მაგრამ არც ერთ მუშას არასოდეს უკადრია ხილის მოპარვა. მხოლოდ ფულის შემოძლევა კი იცოდნენ. გლეხებს ეხათრებოდათ ფულის აღება და ისე შესთავაზებდნენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ხომ არ შეიძლებოდა თავაზა? და აი, თითქოს მიწიდან ამოცვივდნენ ჩარჩები, ვაჭრუკანები, დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თითოეული ხე, ძალითა თუ ნე-

ბით, შეისყიდეს, რათა მერე ერთი ათად გაეყიდათ მუშებზე. ერთი ხეც კი აღარ დარჩა სადმე ბავშვების პირის ჩასატკბარუნებლად.

ხეხილის მსხმოიარობით გახარებული საწყალი ბავშვი მიადგებოდა უხვად დასხმულ ხეს, მაგრამ უეცრივ მოაგონდებოდა სასტიკი სიტყვა „გაყიდულია“ და გველნაკბენივით უკან გამობრუნდებოდა. ასე დაემართათ ჩემს ფეხშიშველა ამხანაგებს – ფიფონას, ბათულას, აგლიას, არსენას.

აი, ქურდულად მიიხედ-მოიხედავს ბავშვი – მერე რა მსხალია?! მსხლებს რომ პირი ჰქონდეთ, ერთმანეთს დასჭამდნენ! მაგრამ დიდედას მუხლქვეშ გაზრდილებს ქურდობისა ეშინოდათ, თან ყურში ჩასძახოდათ ის სიტყვები, ჩარჩმა რომ დაავედრა მათ მამებს ათშაურიანის მიცემისას:

– აბა, გაბრო, ამ დასხმულ ხეს გაბარებ. ასევე უნდა დამახვედრო, ბავშვებმა არ მომიკრიფონ.

გაბროც მამის სულს დაიფიცავდა, შეჰპირდებოდა პატიოსნებას, მაგრამ რატომ თავისი ქერა ბიჭი ფიფონა არ ეცოდებოდა? ბარემ... მაგრამ ჩარჩის ათი შაური სიღარიბის რომელიღაც ჭუჭრუტანას ამოუვსებდა ბეჩავ გაბროს.

შეიკრა, გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი. ვის გაეგონა წინათ ხილის აკრძალვა? მთელი ივრის ხილი ხომ ჩვენი იყო. ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები, ახლა კი მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის შეკრული, მოკვეთილი აღმოჩნდა.

ივრის ბაღნარი კი ისევ ისე შრიალებდა. ჭრელ-ჭრელი ხილი ისევ თვალს გვტაცებდა, ჩვენ კი თითქოს ერთ დღეში დავბერდით; თითქოს ბავშვობა აგვიკრძალეს იმ ხილის აღკვეთით და ხილთან ერთად ხომ თვითონ იორიც იკრძალებოდა. რაღა საქმე გვქონდა იორზე, რაღად უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ჭალებში?

მე ერთი ვიყავი იმედიანად, მე ხომ მქონდა იორზე საკუთარი ხელუხლებელი ჭერამი!

ჰოდა, ჩემს ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ჩვენს ვენახში და ვეტყოდი:

– ადი, ბიჭო, დაარხიე, დაკრიფე, გაიხარე!

და აი, ერთ კვირა დილას, ჩავცვივდით იორზე – მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული. ახლა რას გვიზამს ჩარჩის აკრძალვა? ჩემი ხეა და ჩემად შევინახე, ფულზე არ გამიცვლია! მაგრამ, იცით, რა მოხდა?! შორიდანვე დავინახე, ჩვენს ჭერამთან იდგა ჩარჩი მელქო, გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჭერამს.

თურმე დედაჩემს ჩვენი ჭერამიც გაეყიდა: ცოდონი არიან მეზობლის ბავშვები, რომ მარტო შენ გქონდეს ხილიო! არა უშავს რა, შენც მათთან ერთად იმარხულეო და გადმომცა სამი ვერცხლის აბაზიანი: – შენი საყვარელი წიგნები იყიდეო!

მე მართლაც ვიყიდე ორიოდე წიგნი, მაგრამ მალე შემძულდნენ ის წიგნებიც და მათი დამწერნიც.

აი, რა მიზეზი იყო, რომ ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში.

იგი სასტიკად მოექცა ჩემს უდარდელ ბავშვობას. მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა.

უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. ოთხ-ოთხი სავარაუდო პასუხიდან აირჩიეთ **მხოლოდ ერთი**. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედებში გააკეთეთ აღნიშვნა – **X**.

(1) **10. პირველ აბზაცში ავტორი:**

ა) გადმოგვცემს გულისტკივილს, რომელიც ჭერმის ხის გახმობამ გამოიწვია.

ბ) გადმოგვცემს, როგორ შეეცვალა დამოკიდებულება ჭერმის ხის მიმართ.

გ) გვიხსნის, რატომ იწვევდა მასში სევდას დახუნძლული ჭერმის ხე.

დ) გვიხსნის, რატომ უყვარდა განსაკუთრებულად „შებუთქვილი“ ჭერმის ხე.

(1) **11. რომელ ფრაზაშია გადმოცემული მთხრობლის სულიერი მდგომარეობა?**

ა) „გულში მფიფქავდა ერთი მოგონება“.

ბ) „მთელი უბნის ბალღობა მყავდა დაპატიჟებული“.

გ) „ფეხშიშველა მეგობრებს ჩავიყვანდი ჩვენს ვენახში“.
დ) „ჩიტებივით დავნავარდობდით ტოტებზე ბალღები“.

(1) **12. კახეთის რკინიგზის მშენებლობის აღწერით ავტორს სურდა:**
ა) კახეთისათვის რკინიგზის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება.
ბ) ნაწარმოებში განვითარებული ამბის წინაპირობაზე ყურადღების გამახვილება.
გ) სხვადასხვა ეროვნების მუშების ერთად შრომის მნიშვნელობის ჩვენება.
დ) ტექსტის დასაწყისშივე ნაწარმოების მთავარი სათქმელის გამოკვეთა.

(1) **13. რა მიზნით მიჰყიდეს ხილი გლეხებმა ჩარჩებს?**
ა) რათა თავიანთი მძიმე მატერიალური მდგომარეობა შეემსუბუქებინათ.
ბ) რათა ივრის ჭალების ბაღნარები ბავშვებს მთლიანად არ გაეკრიფათ.
გ) რათა მუშები მუდმივი „თავაზით“ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინათ.
დ) რათა შრომით დაქანცული მუშების მდგომარეობა შეემსუბუქებინათ.

(1) **14. რატომ არ ეკარებოდნენ ბავშვები ივრის ჭალების გაყიდულ ხეხილს?**
ა) ებრალებოდათ სიცხისაგან გათანგული მუშები.
ბ) ეგონათ, რომ მუშების მდგომარეობას დაამძიმებდნენ.
გ) ეშინოდათ, ჩარჩები მათ სასტიკად დასჯიდნენ.
დ) იცოდნენ, რომ ქურდობა სამარცხვინოა.

(1) **15. რომელი ციტატაა გაპიროვნების მაგალითი?**
ა) „ბაღნარი კი ისევ ისე შრიალებდა“.
ბ) „გაიფიცა ბავშვების წინაშე ივრის ხეხილი“.
გ) „ჭრელ-ჭრელი ხილი თვალს გვტაცებდა“.
დ) „ხილთან ერთად ხომ თვითონ იორიც იკრძალებოდა“.

(1) **16. რომელ ციტატაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**
ა) „ათი შაური სიღარიბის რომელიღაც ჭუჭრუტანას ამოუვსებდა ბეჩავ გაბროს“.
ბ) „გოდრებით აკიდებული ცხენი იქვე ეყენა და გულმოდგინედ კრეფდა ჭერამს“.
გ) „მათი ერთადერთი იმედი, გახარება და გასართობი ივრის ვენახების ხილი იყო“.
დ) „ჩვენი ჭერამი მხოლოდ სევდას და სიძულვილს იწვევდა ჩემში“.

(1) **17. რატომ გაყიდა მთხრობლის დედამ ჭერმის ხე?**
ა) არ უნდოდა, რომ მისი შვილი სხვებისაგან გამორჩეული ყოფილიყო.
ბ) არ უნდოდა, რომ სოფლის ბავშვები ხშირად სწვეოდნენ მის შვილს.
გ) უნდოდა, რომ თავადაც ჰქონოდა ცოტაოდენი შემოსავალი.
დ) უნდოდა, რომ შვილისთვის წიგნების საყიდელი ფული მიეცა.

(1) **18. რომელ ციტატაშია გადმოცემული ავტორის მთავარი სათქმელი?**
ა) „ახლა კი მთელი ივრის ბაღნარები ჩვენთვის შეკრული, მოკვეთილი აღმოჩნდა“.
ბ) „მერე დაბერდა, გახმა, წაიქცა, არცა მწყენია, თითქოს კიდევაც გამიხარდა“.
გ) „მისმა მსხმოიარე ტოტებმა დაჩხვლიტეს, დაკბინეს ჩვენი ბავშვური უზრუნველობა“.
დ) „რაღა საქმე გვქონდა იორზე, რაღად უნდა ჩავქანებულიყავით სოფლიდან ივრის ჭალებში?“

(7) **19. ტექსტიდან ამოღებულია 7 წინადადება. აღადგინეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული წინადადებების მეშვეობით. გაითვალისწინეთ, 5 წინადადება ზედმეტია.**

ოპერა „აბესალომ და ეთერი“

„აბესალომ და ეთერი“ ქართული ეროვნული ოპერის კლასიკურ ნიმუშად ითვლება. მისი ავტორი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილია. სპექტაკლი ოთხმოქმედებიანია და ლიბრეტოს ავტორი პეტრე მირიანაშვილია. (1) . . .. ხალხური თქმულების გარდა მირიანაშვილმა ტექსტში გამოიყენა ცალკეული ფრაგმენტები „ვეფხისტყაოსნიდან“, ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან, (2) . . .. ოპერის შექმნის პროცესში იგი კომპოზიტორის ხშირი სტუმარი იყო. უშუალოდ ფორტეპიანოსთან სწორდებოდა ცალკეული ფრაზები, სცენები, არიები. (3) . . ..

პრემიერა შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 1919 წლის 21 თებერვალს. (4) . . .. ოპერის მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ კომპოზიტორს მეორე მოქმედების შემდეგაც დიდი ოვაციები გაუმართეს. თუმცა პრემიერის სრულყოფილ წარმატებას საგრძნობლად შეუშალა ხელი სასცენო ტექნიკის დაბალმა დონემ, მეტისმეტად გაწელილმა შესვენებებმა. სპექტაკლი საღამოს 8 საათზე დაიწყო და ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. (5) . . ..

საბოლოოდ ოპერამ „აბესალომი და ეთერი“ ქართული საზოგადოების დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი დადგმით აღფრთოვანებული დარჩა. (6) . . .. თავად კომპოზიტორს კი საკუთარ დამსახურებად ოპერაში ეროვნული და ევროპული მუსიკის თავისებურებების შერწყმა მიაჩნდა. იგი აღნიშნავდა, რომ უყვარდა ეს ოპერა არა მარტო როგორც თავისი პირმშო, არამედ როგორც ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუში, რომელიც ევროპული მუსიკალური თეორიის კანონებზე ააგო.

ოპერის ძირითადი თემა – სიყვარული – წარმოჩენილია როგორც დიადი, უძლეველი ძალა. (7) . . .. „აბესალომ და ეთერი“ ქართული საოპერო ხელოვნების შედევრად ითვლება დღემდე და ყოველ წელს ოპერის თეატრი სეზონს სწორედ ამ სპექტაკლით ხსნის.

გამოტოვებული წინადადებები:

ა) გარდა ამისა, იქვე ერთობლივად იქმნებოდა დუეტები და დიალოგები.
ბ)გარდა ამისა, სპექტაკლი დრამატურგიულად გაუმართლებელი სცენებით იყო გადატვირთული.
გ) ეს ძალა გადალახავს არა მარტო სოციალურ უთანასწორობას, არამედ თვით სიკვდილსაც.
დ) ლიბრეტო ეფუძნება ძველ ქართულ თქმულება „ეთერიანს“.
ე) მარჯანიშვილი წერდა: „დიდი დღესასწაულია ნამდვილი ხელოვნებისა! გასაოცარი ლეგენდაა ევროპული ოსტატობით შემუშავებული“.
ვ) მსახიობმა მაკო საფაროვამ ფალიაშვილს მოღვაწეობის 30 წლისთავი მიულოცა.
ზ) სპექტაკლზე მოსახვედრი ბილეთები დიდი ხნით ადრე იყიდება ხოლმე.
თ) ფალიაშვილმა ბევრი ძველი საგალობელი ჩაიწერა და გადაამუშავა.
ი) ფალიაშვილმა შენიშვნები გაითვალისწინა და ოპერა მალევე ერთი მოქმედებით შეამოკლა.
კ) ხალხით სავსე დარბაზში ამ დღეს ნემსი არ ჩავარდებოდა.
ლ) ხოლო ერთ-ერთი გმირის – მარეხის – არიის სიტყვები თავად მირიანაშვილს ეკუთვნის.
მ) ჯერ რევაზ გოგნიაშვილის „ქრისტინე“, შემდეგ დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დაიდგა.

<u>ამ დავალების პასუხები პასუხების ფურცელზე გადაიტანეთ შემდეგნაირად:</u>

მე-19 ნომრის გასწვრივ მოცემულ ცხრილში ყოველი წინადადების რიგით ნომერს შეუსაბამეთ იმ წინადადების აღმნიშვნელი ასო, რომელიც, თქვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაშია გამოტოვებული და <u>გადამკვეთ უჯრედში</u> ჩასვით **X** ნიშანი.

(9) **20. წაიკითხეთ ტექსტი და გაარკვიეთ, ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი შეესაბამება ტექსტის შინაარსს და რომელი – არა. თუ წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს, მიუთითეთ იმ აბზაცის ნომერი, რომელიც თქვენი პასუხის დამადასტურებელ ინფორმაციას შეიცავს** *(გაითვალისწინეთ, თუ აბზაცის ნომერი სწორად არ იქნება მითითებული, შესაბამისი პასუხი არასწორად ჩაგეთვლებათ. ნიმუში მოცემულია).*

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

აღზრდის შესახებ

I. აღზრდა მრავალმხრივი და რთული პროცესია, რომელშიც ბევრი მონაწილეა ჩართული. მთავარი მოქმედი პირები, რა თქმა უნდა, მშობლები და შვილები არიან. ის სტრატეგიები და მიდგომები, რომლებსაც მშობლები ირჩევენ აღზრდის პროცესში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და განსაზღვრავს მის ფსიქიკურ სიჯანსაღეს.

II. ხშირად მშობლები ისე ეპყრობიან ბავშვს, როგორც მათ ეპყრობოდნენ საკუთარი მშობლები პატარაობისას. არ ითვალისწინებენ იმ დროის მოთხოვნებს, რომელშიც მათს შვილს უწევს ყოფნა: „ჩემს შვილს ჩემსავით კარგი ბავშვობა უნდა ჰქონდეს“, – არცთუ იშვიათად გვესმის მსგავსი ფრაზა. ზოგჯერ კი მშობლებს არ მოსწონთ აღზრდის ის სტილი, რომელიც თავიანთ თავზე გამოცადეს და შვილების აღზრდაში საპირისპირო გზას ირჩევენ: „ჩემს შვილს ჩემზე უკეთესი ბავშვობა უნდა ჰქონდეს!“, – ამბობენ ისინი. ბავშვის თავისებურებები და დროის მოთხოვნა კი ამ შემთხვევაში შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეთ.

III. ბავშვის აღზრდა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე სხვა რამის სწავლა... თუნდაც მანქანის მართვის. მაგრამ იმისათვის, რომ მანქანის ტარება ვისწავლოთ, დავდივართ სპეციალურ კურსებზე, ვსწავლობთ საგზაო მოძრაობის წესებს და ბოლოს გამოცდას ვაბარებთ. რაც შეეხება ბავშვის აღზრდას, ხშირად მივიჩნევთ, რომ ამისათვის სრულიად საკმარისია გვყავდეს შვილი და სხვა ყველაფერი თავისით მოგვარდება.

IV. ყველა მშობლის სურვილია აღზარდოს ჯანსაღი შვილი ჯანსაღი სხეულით, ფსიქიკითა და ურთიერთობებით. ოჯახი ბავშვისთვის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლაა. რა შეიძლება გააკეთონ მშობლებმა ოჯახში შვილის სწორად აღსაზრდელად? პირველ რიგში, მათ შვილი უნდა შეიყვარონ ისეთი, როგორიც ის არის. სერიოზულად უნდა მოეკიდონ მის აზრებსა და გრძნობებს, დაინტერესდნენ მისი საქმიანობით, იდეებით, პრობლემებით. აჩვენონ, რომ მათთვის ღირებულია ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს და აკეთებს; ხშირად სასურველია იმის ხაზგასმა, რაც კარგად გამოსდის და არა – პირიქით.

V. კარგი მაგალითის მიცემა უმნიშვნელოვანესია ბავშვისათვის, ვინაიდან მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში მშობლის კონკრეტული მაგალითი წამყვან როლს ასრულებს. პატარები მშვენივრად გრძნობენ, რა არის ნამდვილი და რა – მოჩვენებითი, ყალბი. ყოველთვის უნდა მოიძებნოს დრო იმისათვის, რომ მშობლებმა გადასინჯონ საკუთარი ქცევა – რამდენად ემთხვევა ერთმანეთს მათი სიტყვა და საქმე.

VI. ზედმეტი მოფრთხილება ემოციურად ვნებს პიროვნებას და დამოუკიდებლობის უნარსაც უქვეითებს. ამიტომ არ არის ყოველთვის აუცილებელი შვილის დაცვა მისი ქცევის შესაძლო უარყოფითი შედეგისაგან – წარუმატებლობა, მარცხი მშვენიერი მასწავლებელია. ერთი აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: „თუ შვილს თევზს დაუჭერ, დღეს დააპურებ. თუ თევზის ჭერას ასწავლი, სიცოცხლის ბოლომდე დააპურებ“. სწორედ დამოუკიდებლად მოქმედების, სიძნელეებთან გამკლავების უნარის ჩამოყალიბებაა ძალზე მნიშვნელოვანი აღზრდის პროცესში.

წინა-დადე-ბის N	წინადადებები	დიახ	არა	აბზ.N
0	***აღზრდის პროცესში მშობლის მიერ არჩეული სტრატეგია გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე.***	*X*		*1*
1	აღზრდის პროცესში ოჯახი ყველაზე ნაკლები მნიშვნელობის ინსტიტუტია.			
2	აღზრდის რთულ და მრავალმხრივ პროცესში ჩართულ ყველა პირს მთავარი როლი აკისრია.			
3	ზოგჯერ მშობლები მიიჩნევენ, რომ მათს შვილს ზუსტად მათსავით კარგი ბავშვობა უნდა ჰქონდეს.			
4	თუ ბავშვს ხშირად შევახსენებთ იმას, რაც კარგად არ გამოსდის, ამით მას მხოლოდ დავეხმარებით.			
5	მისთვის ყველა საფრთხის თავიდან აცილება, ბავშვს დამოუკიდებლობის უნარს უქვეითებს.			
6	მშობელმა ყოველთვის უნდა დაიცვას შვილი მისი ქცევის შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან.			
7	მშობლები ზოგჯერ ფიქრობენ, რომ შვილის აღზრდის საკითხი თავისთავად გვარდება.			
8	მშობლები ითვალისწინებენ თავიანთი პატარების თავისებურებებსა თუ დროის მოთხოვნებს და ამიტომ ამბობენ, რომ შვილებს მათზე უკეთესი ბავშვობა უნდა ჰქონდეთ.			
9	ყალბსა და ჭეშმარიტს ბავშვები ერთმანეთისაგან კარგად ასხვავებენ.			

III. წერა (20 ქულა)

21. არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით იგი:

ერთი კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონე მხოლოდ იმიტომ განსხვავდება პარალელური კლასის მოსწავლეთა ცოდნის დონისაგან, რომ მათი პედაგოგების კვალიფიკაციაა სხვადასხვაგვარი.

N 21 ანუ წერითი დავალების შესასრულებლად პასუხების ფურცელზე ერთი გვერდია დატოვებული. იმყოფინეთ ეს ადგილი!

ისევე, როგორც ყველა სხვა დავალებისათვის, წერითი დავალებისათვისაც შავი ვარიანტის დასაწერად შეგიძლიათ ცარიელი ფურცლები გამოიყენოთ.

არ დაგავიწყდეთ ნაშრომის გადატანა პასუხების ფურცელზე!

გაითვალისწინეთ, <u>100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის</u> ნაშრომი VI (სინტაქსური კონსტრუქციები) და VII (მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია) კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

IV. პროფესიული ცოდნა (20 ქულა)

(8) **22.** ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური შეცდომები (სტრიქონში არაუმეტეს ერთისა). ზოგ სტრიქონში დაშვებულია შეცდომა, ზოგში – არა. სტრიქონების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ სწორი ფორმები. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა – √ (ნიმუში მოცემულია).

ტექსტი	სწორი ვარიანტები
გერმანელი მწერალი და პუბლიცისტი არტურ ლაისტი ქართულ კულტურით ჯერ კიდევ ბრესლაუს უნივერსიტეტში სწავლის დროს დაინტერესებულა და სამშობლოშივე	0.--ქართული--
	00.------√-------
დაუწყია ქართული ენის შესწავლა. ჩვენ ქვეყანას ლაისტი პირველად 1884 წელს ეწვია	1.----------
ილია ჭავჭავაძის ინიციატივით. სწორედ ამ პერიოდში გაცნობია ის „ვეფხისტყაოსანს“	2.----------
და გერმანულ ენაზე მისი თარგმნა გადაუწყვიტავს. მომდევნო წელს ლაისტი კვლავ ეს-	3.----------
ტუმრა საქართველოს. ამჯერად მწერალმა ქართველ მეგობრების დახმარებით გერმანუ-	4.----------
ლად თარგმნა შოთას უკვდავი პოემა. მან ასევე დაწერა წიგნი ქართველთა ადათწესების	5.----------
შესახებ. საქართველოში ლაისტი XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დამკვიდრდა, რათა	6.----------
სჯეროდა, რომ ასე უკეთ შეუწყობდა ხელს ქართული კულტურის პოპულარიზაციას ევ-	7.----------
როპაში. ის აქტიურათ იყო ჩართული ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.	8.----------

NN 23-30 დავალებების პასუხები უნდა დაწეროთ პასუხების ფურცელზე მხოლოდ ამ დავალებების ნომრების გასწვრივ მოცემულ ხაზებზე.

იმყოფინეთ გამოყოფილი ადგილები (შავი სამუშაოს შესასრულებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარიელი ფურცლები).

არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელზე!

<u>გაითვალისწინეთ</u>, NN 23-26 დავალებების პასუხები დადებითად არ შეფასდება, თუ მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომას გაასწორებთ და არ დაწერთ დავალების პირობის შესაბამის განმარტებას.

(1) **23.** **მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *საქართველოს ბევრ სოფელს მაღალ-მთიანი დასახლების სტატუსი აქვს.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **24.** **მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *სახლს უკან პატარა ბაღია გაშენებული.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **25.** **მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *ძალიან მომეწონა ფსიქოლოგი თავაძის რეკომენდაციები.*

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(1) **26.** **მოსწავლეს ევალება სწორად აღადგინოს** *თავისი* **ან** *თავიანთი* **შემდეგ წინადადებაში:**

დებატების მონაწილეებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს . . . მოსაზრებები.

განუმარტეთ მოსწავლეს, რა უნდა იცოდეს, რომ სწორად შეასრულოს დავალება.

(2) **27. განუმარტეთ მოსწავლეს, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ხაზგასმული არსებითი სახელები შემდეგ წინადადებებში:**

1. <u>სტუდენტობა</u> პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს;

2. <u>სტუდენტობა</u> ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

(2) **28. დაასახელეთ, რომელი გრამატიკული კატეგორიებით განსხვავდება ერთმანეთისაგან ზმნები:**

მოიყვანა და მოაყვანინა.

(2) **29. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *კალამი, წიგნები, რვეულები, სახაზავი, ყველაფერი ჩანთაში ჩავაწყვე.*

ა) რა ტიპის შეცდომა დაუშვა მოსწავლემ?

ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

(2) **30. მოსწავლემ დაწერა წინადადება:** *მეგობარმა, რომელმაც საერთაშორისო ოლიმპიადაში გაიმარჯვა, სამშობლოში ხვალ დაბრუნდება.*

ა) რა ტიპის შეცდომა დაუშვა მოსწავლემ?

ბ) განუმარტეთ მას, რა უნდა იცოდეს, რომ არ დაუშვას ანალოგიური შეცდომა.

V. ლაპარაკი (11 ქულა)

I დავალება

პირველი შეკითხვა

თქვენი დაკვირვებით, რომელი პროფესიაა დღეს ახალგაზრდებში ყველაზე პოპულარული და რატომ?

მეორე შეკითხვა

რა სახის თვალსაჩინო მასალას იყენებთ ხოლმე ქართულის გაკვეთილებზე, რათა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და ცოცხალი გამოვიდეს? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

II დავალება

დღეს უფროსი თაობის ზოგი წარმომადგენელი უკმაყოფილოა თანამედროვე ახალგაზრდების მისწრაფებებითა და ცხოვრების სტილით. ზოგიერთი მათგანი კი, ამგვარი შეხედულების საწინააღმდეგოდ, ახალგაზრდების მრავალ დადებით თვისებაზე ამახვილებს ყურადღებას.

ისაუბრეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

<u>**პასუხი დაასაბუთეთ**</u>**!**

III დავალება

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

თქვენმა ახალბედა კოლეგამ გკითხათ: „როგორ უნდა მოვახერხო, რომ ისეთ კლასში, რომელშიც სხვადასხვა ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები სხედან, ყველა ბავშვმა ერთნაირად გონიერად იგრძნოს თავი?“

გაუზიარეთ საკუთარი გამოცდილება თქვენს კოლეგას და ურჩიეთ, როგორ არის შესაძლებელი ამ პრობლემის მოგვარება.

<u>**არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია**</u>**!**

ტესტის ნიმუშის შეფასების სქემა:

მოსმენილი ტექსტი

ძვირფასო რადიომსმენელებო, დღეს ადამიანის სულიერი ფორმირების, მისი ღრმა განათლებისა და მხატვრული ლიტერატურის ორგანული კავშირის შესახებ სასაუბროდ ცნობილი ლიტერატორი თამაზ ვასაძე მოვიწვიეთ.

– ბატონო თამაზ, ხშირად გვინახავს ისეთი ადამიანები, რომელთაც კარგი განათლება აქვთ, მაგრამ საღი აზრისაგან შორს არიან. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა განათლება პირდაპირ დაკავშირებული სულიერ ღირებულებებთან? რა ხდება ჩვენს განათლების სისტემაში ამ კუთხით?

– ჩვენი სისტემის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ბავშვი სწავლობს ყველაფერს, ფორმალურად მაინც, მაგრამ მას არ უხსნიან მთავარს – რა არის ადამიანი. ქიმიას, ფიზიკას, ანატომიას ასწავლიან, მაგრამ სულიერი ანატომია? ფსიქიკა, ფსიქოლოგია, მორალი? რა არის მორალი? საერთოდ, ეს სიტყვა ისმის რომელიმე დისციპლინაში? ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, სკოლაში იქნებოდა საგანი, რომელიც მთლიანად ადამიანს მიეძღვნებოდა და მას საფუძვლად მხატვრული ლიტერატურა დაედებოდა.

– გეთანხმებით, გარდა ამისა, მხატვრული ლიტერატურა სკოლის მოსწავლეს ემოციური ინტელექტის განვითარებაში, ალბათ, ყველაზე მეტად დაეხმარება.

– დიახ, ლიტერატურა ამას ისე აკეთებს, რომ მას ვერცერთი მეცნიერება ვერ შეედრება. ვგულისხმობ ლიტერატურის იმ მხარეს, რომ ადამიანმა დაინახოს საკუთარი თავი, შინაგან სამყაროში ჩაიხედოს; დაფიქრდეს, როგორ არის ზოგადად სამყარო მოწყობილი; სხვა ადამიანი და მასთან ურთიერთობა რას ნიშნავს. ნებისმიერი მოვლენა, რომელიც ადამიანს უკავშირდება, სად შეიძლება ნახო უფრო მკაფიოდ, ვიდრე ლიტერატურაში? პრობლემა ის არის, რომ ლიტერატურა ამ კუთხით არ ისწავლება. იმაზეც ფიქრია საჭირო, კონკრეტულად რომელ ასაკში რა უნდა მიაწოდო ბავშვს, რათა საკუთარი თავი დაინახოს პერსონაჟში. ცალკე საგანი უნდა არსებობდეს, რომელშიც ლიტერატურას (ქართულს თუ უცხოურს) გადამწყვეტი როლი მიენიჭება.

– არის საზოგადოების დიდი ნაწილი, რომლის საქმიანობა არანაირად არ უკავშირდება წიგნს. რატომ უნდა გადადოს ასეთმა ადამიანმა თავისი ძვირფასი დროის ნაწილი იმისათვის, რომ რომანები, მოთხრობები და ლექსები იკითხოს? რა შეიძლება იყოს მისთვის კითხვის მოტივაცია?

– მოდით, ვილაპარაკოთ პრაქტიკულ მოტივზე – რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მხატვრული ლიტერატურის კითხვას. შეიძლება ეს არ არის მაღალი და განსაკუთრებულად კეთილშობილური მოტივი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი მოტივია: როცა ვინმემ იცის, რომ ლიტერატურის წყალობით ის ხდება უფრო ჭკვიანი, სწავლობს ცხოვრებასა და ადამიანებში უკეთესად გარკვევას, ნაკლებად შეცდება შეფასებებში და, ამდენად, ნაკლებად მოტყუვდება ცხოვრებაში; ისწავლის ადამიანებზე, მათს ფსიქიკაზე, ხასიათზე დაკვირვებას. ეს არ არის პატარა მოტივი. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რომ ლიტერატურის მეშვეობით იგი უკეთესად ეცნობა საკუთარ თავს.

– რა არის კითხვის სიძნელე? რატომ უყვართ ადამიანებს კითხვა ნაკლებად?

– იმიტომ, რომ მარტოობა უყვართ ნაკლებად. კითხვა არის მარტოობა, წიგნსა და საკუთარ თავთან დარჩენა. ოღონდ ეს სავსე მარტოობაა, რაღაცით დატვირთული, სერიოზული. ეს არ არის შემაწუხებელი, დამთრგუნველი მარტოობა. ისეთი მარტოობაა, საიდანაც „ნამდვილი“ ურთიერთობა იბადება სხვა ადამიანებთან. როგორც წესი, ადამიანებს არ უყვართ მარტო დარჩენა.

– გეთანხმებით, მათ ბევრად ურჩევნიათ პატარ-პატარა ან დიდი კოლექტივები შექმნან, ერთად იყვნენ, გაერთონ, ვიდრე ცხოვრებისეულ კითხვებს ჩაულრმავდნენ და ნაკლებად იფიქრონ.

– სერიოზული ლიტერატურა კი მარტო გტოვებს შენს თავთან და დიდ კითხვებთან ერთად. ოღონდ, თან გელაპარაკება იმ კითხვებზე და ნათელს ჰფენს მათ. საკუთარ თავს იქ პოულობ. შეუძლებელია, ეს სასიამოვნოც არ იყოს ამავე დროს. აქვე უნდა ვთქვა, რომ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებში არ იგრძნობა ცნობისწადილი, რაღაცის შეცნობის სურვილი. არადა, რამდენი საინტერესო რამ ხდება სამყაროში.

– რის მიმართ ინტერესს გულისხმობთ?

– რაღაც იდუმალით დაინტერესებას – ნეტავ, იმ სფეროში რა ხდება? ნეტავ, როგორ არსებობს ეს მოვლენა? რასთან გვაქვს საქმე? ცნობისწადილის ნაკლებობაც განსაზღვრავს იმას, რომ წიგნი და კითხვა ნაკლებ ადგილს იკავებს თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრებაში.

– რა შეცვალა კითხვის კულტურაში ინტერნეტმა?

– არა მგონია, არსებითად რამე შეეცვალა. ვინც მკითხველი იყო, ის მკითხველად დარჩა. ვისაც კითხვა არ უყვარდა, იმის ცხოვრებაში რა შეიცვალა? – არაფერი. უბრალოდ, ზერელე ინფორმაციას მეტს იღებს.

– ნუთუ მკითხველების რაოდენობა არ შეამცირა იმან, რომ გაჩნდა ინტერნეტი? გაჩნდა სოციალური ქსელები, რომლებმაც დიდი მიჯაჭვულობა გამოიწვია. ამ პროცესმა რაიმე კვალი არ დატოვა წიგნის მკითხველებზე?

– ვფიქრობ, შეამცირა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იძულებით კითხულობდნენ. წიგნის ნამდვილი მოყვარულების რიცხვი არა მგონია შემცირებულიყო. ვინც შეიყვარა კითხვა, ვინც ამის გემო და ფასი იცის, ინტერნეტი მას კითხვას ვერ მოსწყვეტს. ჩემი აზრით, „ხარისხიანი“ მკითხველის რიცხვი არ შემცირებულა.

– ეხმარება თუ არა მხატვრული ლიტერატურა ადამიანებს პრიორიტეტების განსაზღვრაში? როცა ჰგონიათ, რომ ასფალტი არის მთავარი პრიორიტეტი ან შადრევანი, ან ინვესტიციები... შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ამ ადამიანებს აკლიათ მწერლობისა და პოეზიის ღრმა ცოდნა, თორემ მათ არასოდეს დაავიწყდებოდათ, რომ ადამიანია მთავარი პრიორიტეტი?

– გეთანხმებით. როცა ისე ლაპარაკობს ვინმე, რომ მის პრიორიტეტებში ადამიანი სადღაც მეორე პლანზეა, იქ, ცხადია, რომ ლიტერატურა დავიწყებულია. ასეთ პიროვნებას ლიტერატურა არ უყვარს, არც იცის, არც აინტერესებს, მისი ცხოვრების მიღმაა. თორემ ლიტერატურის სიკეთე და მადლი ის არის, რომ სწორ ხედვას აყალიბებს – გეუბნება, რა არის უფრო მნიშვნელოვანი. სადაც ადამიანი იკარგება, იქ ყველაფერი დაკარგულია. ამიტომ აზროვნების ფორმებს შორის ყველაზე ჰუმანური ლიტერატურაა. ადამიანს უნდა წარმართავდეს არა თუნდაც საზოგადოებრივი მორალი და დაკანონებული წესები, არამედ სინდისი, რომელსაც არაფერი ბოჭავს და არაფრითაა ამღვრეული. ამის ცოდნა იქნება ყველაზე დიდი რამ, რასაც შეიძლება ჩვენი განათლების სისტემამ მიაღწიოს. ლიტერატურის როლი ამ დროს ფასდაუდებელია.

NN 1-20 დავალებების სწორი პასუხები

1. გ) ---------1ქ. **2.** ბ) ---------1ქ. **3.** ბ) ---------1ქ. **4.** ბ) ---------1ქ. **5.** გ) ---------1ქ. **6.** ბ) ---------1ქ.
7. გ) ---------1ქ. **8.** დ) --------1ქ. **9.** ა) ---------1ქ. **10.** ბ) ---------1ქ. **11.** ა) ---------1ქ. **12.** ბ) ---------1ქ.
13. ა) ---------1ქ. **14.** დ) --------1ქ. **15.** ბ) ---------1ქ. **16.** ა) ---------1ქ. **17.** ა) ---------1ქ. **18.** გ) ---------1ქ.

19.

	1.	2.	3.	4.	5.	6.	7.
ა)	☐	☐	☒	☐	☐	☐	☐
ბ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
გ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☒
დ)	☒	☐	☐	☐	☐	☐	☐
ე)	☐	☐	☐	☐	☐	☒	☐
ვ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ზ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
თ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ი)	☐	☐	☐	☐	☒	☐	☐
კ)	☐	☐	☐	☒	☐	☐	☐
ლ)	☐	☒	☐	☐	☐	☐	☐
მ)	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

20.

წინადადების N	დიახ	არა	აბზაცის N
1.		X	
2.		X	
3.	X		2
4.		X	
5.	X		6
6.		X	
7.	X		3
8.		X	
9.	X		5

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები (დავალება N 21)

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **20.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ კანდიდატის ნაშრომი არ უპასუხებს დავალების პირობას ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.***

გაითვალისწინეთ, 100 სიტყვაზე ნაკლები მოცულობის ნაშრომი VI და VII კრიტერიუმების მიხედვით არ შეფასდება და დაიწერება 0 ქულა.

კრიტერიუმების ჩამონათვალი და განმარტებები

N	*კრიტერიუმები*	*კრიტერიუმების განმარტებები*	*მაქსიმალური ქულები*
I	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	მონაწილეს მოეთხოვება დავალების პირობის ადეკვატური გაგება და მისი სიღრმისეული გააზრება.	**2**
II	ნაშრომის აგება	მონაწილეს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	**2**
III	მსჯელობის დასაბუთება	მონაწილეს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება შესაბამისი მაგალითებით.	**4**
IV	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება, ფართო ერუდიცია.	**3**
V	ლექსიკა და სტილი	მონაწილეს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე, ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნების დაცვა.	**3**
VI	სინტაქსი	მონაწილეს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	**3**
VII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	მონაწილეს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	**3**

I კრიტერიუმი

N	*დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***მთლიანობაში*** არაადეკვატურადაა გაგებული.	0 - ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

N	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** დარღვეულია ტექსტის ლოგიკა *და/ან* აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	1
3.	ნაშრომში ***დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული ***არ არის.***	0

III კრიტერიუმი

N	*მსჯელობის დასაბუთება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***დამაჯერებლადაა*** დასაბუთებული და არგუმენტები ***გამყარებულია*** შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ***ცალკეულ*** შემთხვევებში არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან მოხმობილი მაგალითები ***არაადეკვატურია.***	3
3.	მსჯელობა ***ზერელედაა*** დასაბუთებული, ***ხშირ*** შემთხვევაში არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ***ძალზე ზოგადია,*** არგუმენტების მოხმობისას ***დაშვებულია*** უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული ***არ არის.***	0

IV კრიტერიუმი

N	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ***ფართო*** ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი ფართო ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის ერუდიციაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა ერუდიცია; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა ერუდიცია.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მონაწილის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ერუდიცია.	0

V კრიტერიუმი

N	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, ***შერჩეულია*** დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

VI კრიტერიუმი

N	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია ***სამი*** სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია ***სამზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

N	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	3
2.	არ არის ***ხუთზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	2
3.	არ არის ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***რვაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	0

NN 22-30 დავალებების სწორი პასუხები

22.

1.	---------- ჩვენს ---------
2.	------- გასცნობია ------
3.	---- გადაუწყვეტია ----
4.	------- ქართველი ------
5.	----- ადათ-წესების ----
6.	--------- რადგან --------
7.	---------- √ ----------
8.	------- აქტიურად ------

ყურადღება!

NN 23-26 დავალებების პასუხები ***დადებითად არ შეფასდება,*** თუ ტესტირების მონაწილე ***არ დაწერს*** დავალების პირობის შესაბამის ***განმარტებას.***

23. ერთცნებიანი კომპოზიტი ერთად / შერწყმულად (უდეფისოდ) იწერება. სწორია: ***მაღალმთიანი.*** ---1ქ.

24. ***უკან*** თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნიზედაა და სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის. *სწორია:* ***სახლის უკან.*** ----------1ქ.

25. ადამიანის გვარის მსაზღვრელი პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა ნათესაობითში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. სწორია: ***ფსიქოლოგ თავაძის.*** ----------1ქ.

26. თუ ქვემდებარე მხოლობითშია, კუთვნილების გადმოსაცემად გამოიყენება ნაცვალსახელი ***თავისი,*** ხოლო თუ მრავლობითშია – ***თავიანთი.*** ----------1ქ.

27. პირველ წინადადებაში **სტუდენტობა** კრებითი არსებითი სახელია, მეორეში – აბსტრაქტული. ------2ქ.
ნაწილობრივ სწორი პასუხი (კრებითი / აბსტრაქტული). ----------1ქ.

28. პირთა რაოდენობითა ***(მოიყვანა*** ორპირიანი ზმნაა, ***მოაყვანინა*** – სამპირიანი) და კონტაქტით ***(მოიყვანა*** უშუალო კონტაქტის ფორმაა, **მოაყვანინა** – შუალობითისა). ----------2ქ.
ნაწილობრივ სწორი პასუხი (პირთა რაოდენობით / კონტაქტით). ----------1ქ.

29. ა) დაშვებულია პუნქტუაციური შეცდომა. ----------1ქ.
ბ) როცა ერთგვარ წევრებს მოსდევს განმაზოგადებელი სიტყვა *(ყველაფერი),* მის წინ ტირე უნდა დაიწეროს. სწორია: *კალამი, წიგნები, რვეულები, სახაზავი* ***– ყველაფერი*** *ჩანთაში ჩავაწყვე.* ----------1ქ.

30. ა) დაშვებულია სინტაქსური შეცდომა. ----------1ქ.
ბ) მთავარი წინადადების ქვემდებარეს ბრუნვაში მართავს მხოლოდ ამ წინადადების შემასმენელი. -1ქ.

შეფასების კრიტერიუმები ლაპარაკის ნაწილისათვის

I კრიტერიუმი

N	*დავალებასთან შესაბამისობა*	*ქულები*
1.	ლაპარაკობს თავისუფლად, პაუზების გარეშე; პასუხი არგუმენტირებულია; დროს სრულად იყენებს.	**3**
2.	ლაპარაკობს გამართულად, თუმცა ზოგ შემთხვევაში მოკლე, წყვეტილი ფრაზებით, პაუზების გარეშე; არგუმენტები ზოგჯერ არ არის მყარი; დროს სრულად არ იყენებს.	**2**
3.	ლაპარაკობს დაზეპირებული ან გაუმართავი ფრაზებით, მოკლე, წყვეტილი წინადადებებით; პასუხი არ არის არგუმენტირებული; დროს სრულად არ იყენებს.	**1**
4.	ლაპარაკობს გაუგებრად ან ლაპარაკობს სხვა თემაზე, ანდა დუმს.	**0 (არ სწორდება)**

II კრიტერიუმი

N	*ლექსიკური მარაგი*	*ქულები*
1.	აქვს მდიდარი ლექსიკური მარაგი.	**3**
2.	აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი, თუმცა 1 ან 2 შემთხვევაში სიტყვა არასწორადაა შერ-ჩეული.	**2**
3.	აქვს ერთფეროვანი, მწირი ლექსიკა; ხშირად ლექსიკური ერთეულები არაადეკვატურად არის გამოყენებული.	**1**
4.	აზრის გაგება ჭირს, რადგან ლექსიკა არაადეკვატურია.	**0**

III კრიტერიუმი

N	*გრამატიკული მრავალფეროვნება და სისწორე*	*ქულები*
1.	იყენებს მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; არ უშვებს გრამატიკულ შეცდო-მებს.	**3**
2.	იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს, თუმცა უშვებს 1 ან 2 გრამატიკულ შეცდომას.	**2**
3.	იყენებს მარტივ, ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ზოგჯერ ხელს უშლის აზრის გაგებას.	**1**
4.	მეტყველება გრამატიკულად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.	**0**

IV კრიტერიუმი

N	*წარმოთქმა*	*ქულები*
1.	ბგერებს სწორად წარმოთქვამს, წარმოთქმის ხარვეზები უმნიშვნელოა.	**2**
2.	ზოგიერთ ბგერას სწორად ვერ წარმოთქვამს, თუმცა ეს ხელს არ უშლის აზრის გაგებას.	**1**
3.	ბგერებს სწორად ვერ წარმოთქვამს, ნათქვამი ხშირად გაუგებარია.	**0**

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება!

2021 წლის ზაფხულში ჩასატარებელი ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო 5 საათის ნაცვლად 4 საათი და 30 წუთი იქნება, ხოლო ტესტის მაქსიმალური ქულა 95-ის ნაცვლად – 85.

ქართულის, როგორც მეორე ენის, ტესტის ქულები მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდება:

ა) „მოსმენის“ ნაწილი 11-ის ნაცვლად 9 ერთქულიანი დავალებისაგან იქნება შედგენილი და, შესაბამისად, ამ მონაკვეთისათვის განსაზღვრული შიდა ბარიერიც დაიწევს. ახლა მის დასაძლევად საჭირო იქნება არა 5, არამედ 4 ქულის დაგროვება.

ბ) „კითხვის“ ნაწილს 3 ქულა დააკლდება და იგი 25-ქულიანი გახდება, ამასთან, ტესტის ამ მონაკვეთის პირველი (10-ქულიანი) დავალება ერთი ერთქულიანი შეკითხვით შემცირდება და 9-ქულიანი გახდება; მე-2 (8-ქულიან) დავალებაში ტექსტში 8 ადეკვატური წინადადების ჩასმის ნაცვლად მხოლოდ 7 წინადადების ჩასმა გახდება საჭირო, ხოლო მე-3 (10-ქულიან) დავალებაში, რომელიც მოყვანილი ტექსტის შინაარსის შესაბამისი წინადადებების აღმოჩენის უნარს ამოწმებს, ასარჩევად შემოთავაზებული 10 წინადადების ნაცვლად მხოლოდ 9 წინადადება დარჩება და, ცხადია, შესაბამისად დაიწევს ტესტის ამ ნაწილისათვის განსაზღვრული შიდა ბარიერიც – ახლა მის დასაძლევად მინიმუმ 12 ქულის მოპოვების ნაცვლად 11 ქულაც საკმარისი იქნება.

გ) ცვლილებები არ შეეხება ტესტის „წერის“ ნაწილს და ტესტირებაში მონაწილის ნაშრომი კვლავ შეფასების 20-ქულიანი სქემის მიხედვით გასწორდება, მაშასადამე, შიდა ზღვარიც იგივე დარჩება – 9 ან მეტი ქულა.

დ) ტესტის „პროფესიული ცოდნის“ ნაწილი 5 ქულით შემცირდება, კერძოდ, ამ მონაკვეთის პირველ (10-ქულიან) დავალებას 2 ქულა დააკლდება და, ამასთან ერთად, ერთი 3-ქულიანი დავალებაც ამოვარდება. შეიცვლება ამ მონაკვეთისათვის განსაზღვრული შიდა ბარიერიც და მის გადასალახად მინიმუმ 11 ქულის ნაცვლად 9 ქულის მოპოვებაც საკმარისი იქნება.

ე) რაც შეეხება ტესტის „ლაპარაკის“ ნაწილს, იგი მიახლოებით მხოლოდ 15 წუთს გრძელდება. ტესტირებაში მონაწილის საუბარი კვლავ შეფასების 11-ქულიანი სქემის მიხედვით გასწორდება და, მაშასადამე, შიდა ზღვარიც იგივე დარჩება – 5 ან მეტი ქულა.

ამრიგად, ქართულის, როგორც მეორე ენის, ტესტის მაქსიმალური ქულა 95-ის ნაცვლად 85 გახდება.

ძვირფასო კოლეგებო, გვსურს თქვენი ყურადღება განსაკუთრებით იმაზე გავამახვილოთ, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის, ტესტის მაქსიმალური ქულისათვის 10 ქულის დაკლებამ ბუნებრივად გამოიწვია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადასალახად საჭირო ქულების რაოდენობის შემცირებაც – თუ ადრე 58 ან მეტი ქულის მოპოვება იყო აუცილებელი, ახლა უკვე 52 ქულაც იქნება საკმარისი.

ამრიგად, ქართულის, როგორც მეორე ენის, ტესტის მაქსიმალური ქულაა – 85. ტესტირებაში წარმატების მისაღწევად საჭიროა მონაწილემ მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი დააგროვოს. გარდა ამისა, მან უნდა გადალახოს თითოეული ნაწილისათვის (მოსმენა, კითხვა, წერა, პროფესიული ცოდნა, ლაპარაკი) დადგენილი ზღვრებიც, რაც ყოველი ამ მონაკვეთის მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტს შეადგენს.

დასასრულ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ასახულია გამსვლელი ქულები მთელი ტესტისა და თითოეული მისი ნაწილისათვის:

N	ტესტი და მისი ნაწილები	მაქსიმალური ქულები	გამსვლელი ქულები
1	მთელი ტესტი	85	52 ან მეტი
2	მოსმენა	9	4 ან მეტი
3	კითხვა	25	11 ან მეტი
4	წერა	20	9 ან მეტი
5	პროფესიული ცოდნა	20	9 ან მეტი
6	ლაპარაკი	11	5 ან მეტი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
გისურვებთ წარმატებას!